ინფორმაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

ვეტერინარიის სფეროში: ცხოველთა მიერ ადამიანის დაკბენის შემთხვევებში ზედამხედველობა განხორციელდა 406 დამკბენ ცხოველზე; ცოფის საწინააღმდეგო იძულებითი ვაქცინაცია განხორციელდა 3 ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, ქ. სენაკში, ნოსირსა და ფოცხოში ვაქცინაციას დაექვემდებარა 6486 ცოფის ამთვისებელი ცხოველი; ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის 4 ადმინისტრაციულ ერთეულში - ძველი სენაკი, ჭალადიდი, მენჯი, თეკლათი - აცრილია 2290 ძაღლი და კატა. ბრუცელოზის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია განხორციელდა მუნიციპალიტეტის 3 ადმინისტრაციულ ერთეულში - ხორში, ძველი სენაკი, ჭალადიდი - აიცრა 1360 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი. ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია განხორციელდა ქ. სენაკში, ახალსოფლის, თეკლათისა და მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულებში, აცრილია 4526 ჯილეხის ამთვისებელი ცხოველი.

მცენარეთა დაცვის სფეროში: სენაკის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, 7 სახეობის საშიში საკარანტინო მავნებლის გავრცელების მონიტორინგის მიზნით, 43 ლოკაციაზე განთავსდა 95 ფერომონიანი საჭერი, რომლებზეც სისტემატიურად ხორციელდება დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში აღებული მასალა იგზავნება ლაბორატორიაში შემდგომი კვლევისათვის.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის

და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

მერაბი ჯანაშია